

გამოყენების ინსტრუქცია

ბისოგამა®

Bisogamma

პრეპარატის საგაჭრო დასახელება: ბისოგამა®

საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება: ბისოპროლოლი

წამლის ფორმა: აპკით დაფარული ტაბლეტები

შემადგენლობა:

ერთი ტაბლეტი შეიცავს:

აქტიური ნივთიერება: ბისოპროლოლის ჰემიფურმარატი 10მგ;

დამხმარე ნივთიერებები: კროსპოვიდონი, პრეუელატინიზირებული სახამებელი, მიკროკრისტალური ცელულოზა, კაუბადის დიოქსიდი კოლოიდური, მაგნიუმის სტეარატი, მაკროგოლი 6000, პოლისორბატი 20, ტიტანის დიოქსიდი E171, კალციუმის კარბონატი E170, ტალკი, საღებავი რკინის (III) ყვითელი ოქსიდი E172, ჰიპომელოზა (HPMC 5), ჰიპომელოზა (HPMC 50).

აღწერილობა

მრგვალი, აპკით დაფარული მოყვითალო ნარინჯისფერი ტაბლეტები, ერთ მსარეზე ამობურცული, მეორე მსარეზე ნაჭდევით, ტაბლეტის ზედაპირი დაქანებულია ნაჭდევის მიმართულებით.

ფარმაკო-თერაპიული ჯგუფი: ბეტა ბლოკერები, სელექტიური ბეტა ბლოკატორები.

ATC Code: C07AB07

## უარმაკოლოგიური მოქმედება

წარმოადგენს სელექციურ ბეტა-ადრენობლოკატორს, რომელსაც არ აქვს საკუთარი სიმპათომიმეტიკური აქტივობა, არ გააჩნია მემბრანომასტაბილიზირებელი მოქმედება. ამცირებს სისხლის პლაზმაში რენინის აქტივობას, მიოკარდიუმის მიერ ჟანგბადის მოხმარებას, გულის კუმშვადობის სიხშირეს (მოსვენების და დატვირთვის დროს). გააჩნია ჰიპოტენზიური, ანტიარითმიული და ანტიანგინალური მოქმედება. მცირე დოზების მიღებისას გულის ბეტა-ადრენორეცეპტორების ბლოკირების გზით ამცირებს კატექოლამინებით სტიმულირებული ციკლური ადენზინმონოფოსფატის (ცამფ) წარმოქმნას ადენზინტრიფოსფატიდან (ატფ), ამცირებს კალციუმის იონების უჯრედშიდა დინებას, გააჩნია უარყოფითი ქრონო-, დრომო-, ბათმო და ინოტროპული მოქმედება. თერაპიული დოზის მომატებისას გააჩნია ბეტა2-ადრენომაბლოკირებელი მოქმედება.

მკურნალობის საწყის ეტაპზე პირველი 24 სთ-ის განმავლობაში სისხლძარღვების საერთო პერიფერიული წინააღმდეგობა იმატებს (ალფა-ადრენორეცეპტორების აქტივობის რეციპროკული ზრდის და ბეტა2-ადრენორეცეპტორების სტიმულაციის დათრგუნვის შედეგად), რაც 1-3 დღის შემდეგ უბრუნდება საწყის მდგომარეობას, ხოლო ხანგრძლივად მიღებისას კი მცირდება.

ჰიპოტენზიური ეფექტი უკავშირდება სისხლის წუთმოცულობის შემცირებას, პერიფერიული სისხლძარღვების სიმპათიკურ სტიმულაციას, რენინ-ანგიოტენზინის სისტემის აქტივობის შემცირებას (დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ რენინის საწყისი ჰიპერსეკრეცია), მგრძნობელობის აღდგენას არტერიული წნევის დაცემისას და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზეგავლენას. არტერიული ჰიპერტენზიის დროს ეფექტი ვლინდება 2-5 დღეში, ხოლო სტაბილური მოქმედება კი აღინიშნება 1-2 თვეში.

ანტიანგინალური ეფექტი განპირობებულია მიოკარდიუმის ჟანგბადზე მოთხოვნილების შემცირებით გულის შეკუმშვის სიხშირის კლების შედეგად და კუმშვადობის დაქვეითებით, დიასტოლიის გახანგრძლივებით, მიოკარდიუმის პერფუზიის გაუმჯობესებით. მარცხენა პარკუჭში საბოლოო დიასტოლური წნევის მომატების და პარკუჭების კუნთების ბოჭკოვების წელვადობის გამო შესაძლებელია გაიზარდოს

უანგბადზე მოთხოვნილება, განსაკუთრებით კი ისეთ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ გულის ქრონიკული უკმარისობა.

ანტიარითმიული ეფექტი განპირობებულია არითმოგენური ფაქტორების აღმოფხვრით (ტაქიკარდია, სიმპათიკური ნერვული სისტემის აქტივობის მომატება, ცამფ-ის მომატებული შემცველობა, არტერიული ჰიპოტენზია), რითმის სინუსური და ექტოპიური წამყვანების სპონტანური აღგზნებადობის სიჩქარის შემცირებით და ატრიოვენტრიკულური გამტარობის შენელებით (ძირითადად ანტეგრადული მიმართულებით და უფრო ნაკლებად რეტროგრადული მიმართულებით ატრიოვენტრიკულური კვანძის გავლით) და დამატებითი გზებით.

არასელექციური ბეტა-ადრენობლოკატორებისაგან განსხვავებით საშუალო თერაპიული დოზების მიღებისას ნაკლებად გამოხატულ ზეგავლენას ახდენს ბეტა-ადრენორეცეპტორების შემცველ ორგანოებზე (კუჭუკანა ჯირკვალი, ჩონჩხის კუნთები, პერიფერიული არტერიების, ბრონქების და საშვილოსნოს გლუკო მუსკულატურა) და ნახშირწყლოვან ცვლაზე, არ იწვევს ორგანიზმში ნატრიუმის იონების ( $\text{Na}^+$ ) შეკავებას; ათეროგენური მოქმედება იგივეა, რაც პროპრანოლოლის შემთხვევაში.

### ფარმაკოკინეტიკა

შეწოვა-80-90%, საკვები არ ახდენს გავლენას შეწოვაზე. სისხლის პლაზმაში მაქსიმალური კონცენტრაცია მიიღწევა 1-3 სთ-ში, პლაზმის ცილებთან შეკავშირება შეადგენს დაახლოებით 30%-ს. პერიოდულ ცენტრულ და პლაცენტურ ბარიერში გამტარობა დაბალია, დედის რძეში გადადის მცირე რაოდენობით. დოზის 50% მეტაბოლიზდება დვიძლში არააქტიური მეტაბოლიტების სახით, 50 % უცვლელი სახით გამოიყოფა თირკმელებით, ნახევარგამოყოფის პერიოდი არის 10-12 სთ.

### ჩვენებები

- არტერიული ჰიპერტენზია;
- გულის იშემიური დაავადება: სტენოკარდიის შეტევების პროფილაქტიკა.

### უპრეზენებები

მომატებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების და სხვა ბეტა-ადრენობლოკატორების მიმართ, შოკი (მათ შორის კარდიოგენური), კოლაფსი, ფილტვების შეშუპება, გულის მწვავე უკმარისობა, გულის ქრონიკული უკმარისობა

დეკომპენსაციის სტადიაზი, II-III-ე ხარისხის ატრიოვენტრიკულური (AV) ბლოკადა, სინოატრიალური ბლოკადა, სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი, გამოხატული ბრადიკარდია, პრინციმეტალის სტენოკარდია, კარდიომეგალია (გულის უქმარისობის ნიშნების გარეშე), არტერიული ჰიპოტენზია (სისტოლური არტერიული წნევა  $<100$ მმ ვწყ.სვ, განსაკუთრებით მიოკარდიუმის ინფარქტის დროს); ბრონქული ასთმის მძიმე ფორმები და სასუნთქი გზების სხვა ობსტრუქციული დაავადებები; მონოამინოკსიდაზას (მაო) ინკიბიტორების თანმხლები მიღება (მაო-B-ს გარდა), პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევის გვიანი სტადიები, რეინოს დაავადება, ფეოქრომოციტომა (ალფა-ადრენობლოკატორების თანმხლები გამოყენების გარეშე), მეტაბოლური აციდოზი, დეპრესია, 18 წლამდე ასაკი (ეფექტურობა და უსაფრთხოება არ არის დადგენილი).

**სიფრთხილით მიიღება შემდეგ შემთხვევებში:** დვიძლის უმარისობა, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, მიასთენია, თირეოტოქსიკოზი, შაქრიანი დიაბეტი, I ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა, დეპრესია (მათ შორის ანამნეზში), ფსორიაზი, ალერგიული რეაქციები (ანამნეზში), ხანდაზმული ასაკი.

ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დედისათვის მოსალოდნელი სარგებელი აჭარბებს გვერდითი ეფექტების განვითარების რისკს ნაყოფსა და ბავშვებში.

### მიღების წესი და დოზები

მიიღება 5მგ ერთჯერადად პერიორალურად, დილით უზმოზე, დაღეჭვის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დოზის გაზრდა 10მგ-მდე, რომელიც მიიღება დღეში 1-ჯერ. მაქსიმალური დღიური დოზა არის 20მგ.

ისეთ პაციენტებში, რომელთაც დარღვეული აქვთ თირკმლის ფუნქცია და კრეატინინის კლირენსი შეადგენს  $<20$ მლ/წთ-ს ან აღენიშნებათ დვიძლის ფუნქციის გამოხატული დარღვევები მაქსიმალური დღიური დოზა არის 10მგ.

ხანდაზმულ პაციენტებში დოზის კორექცია არ არის საჭირო.

## **გვერდითი მოქმედება**

ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ: გადაღლილობა, სისუსტე, თავბრუსევევა, თავის ტკივილი, ძილის დარღვევა, დეპრესია, მოუსვენრობა, გონების არევა ან მესიერების დროებით დაკარგვა, პალუცინაციები, ასთენია, მიასთენია, პარესთეზიები კიდურებში (“გარდამავალი” სიკოჭლის და რეინოს სინდრომის მქონე პაციენტებში), კანკალი, კრუნჩევები.

გრძნობის ორგანოების მხრივ: მხედველობის დარღვევა, თვალშიდა სითხის სეკრეციის შემცირება, თვალების სიმშრალე და ტკივილი, კონიუნქტივიტი.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ: სინუსური ბრადიკარდია, გულისცემის აჩქარება, მიოკარდიუმის გამტარობის დარღვევა, AV ბლოკადა (სრულ ბლოკადამდე და გულის გაჩერებამდეც კი), მიოკარდიუმის კუმშვადობის შესუსტება, გულის ქრონიკული უკმარისობის განვითარება (გამწვავება) (წვივების, ტერფების შეშუპება, პაერის უკმარისობა), არტერიული წნევის დაწევა, ორთოსტატული პიპოტენზია, ანგიოსპაზმის გამოვლენა (პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევის გაძლიერება, ქვედა კიდურების გაციება, რეინოს სინდრომი), ტკივილი გულმკერდის არეში.

საჭმლის მომნელებელი სისტემის მხრივ: პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სიმშრალე, გულისრევა, დებინება, ტკივილი მუცლის არეში, ყაბზობა ან ფალარატი, დვიძლის ფუნქციის დარღვევა (მუქი შარდი, სკლერების და კანის სიყვითლე, ქოლესტაზი), გემოს შეცვლა.

სახუნთქი სისტემის მხრივ: ცხვირის გაჭედვა, სუნთქვის გაძნელება მაღალი დოზების მიღებისას (სელექციურობის კარგვა) და/ან მიდრეკილების მქონე პაციენტებში-ლარინგო და ბრონქოსპაზმი.

ენდოკრინული სისტემის მხრივ: პიპერგლიკემია (ინსულინზე დამოკიდებული შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირებში), პიპოგლიკემია (პაციენტებში, რომლებიც ინსულინს დებულობენ), პიპოთირეოიდული მდგომარეობა.

ალერგიული რეაქციები: ქავილი, გამონაყარი კანზე, ჭინჭრის ციება.

კანის საფარის მხრივ: ძლიერი ოფლიანობა, კანის პიპერემია, ეგზანთემა, ფსორიაზის მსგავსი კანის რეაქციები, ფსორიაზის სიმპტომების გამწვავება, ალოპეცია.

ლაბორატორიული მაჩვენებელები: თრომბოციტოპენია (უჩვეულო სისხლდენები და სისხლჩაქცევები), აგრანულოციტოზი, ლეიკოპენია, ღვიძლის ფერმენტების

(ალანინტრანსფერაზას და ასპარტატამინოტრანსფერაზას მომატება) აქტივობის, ბილირუბინის და ტრიგლიცერიდების დონის შეცვლა.

**გავლენა ნაყოფზე:** საშვილოსნოს შიდა ზრდის შეჩერება, პიპოგლიკემია, ბრადიკარდია.

**სხვა:** ტკივილი ზურგის არეში, ართრალგია, წვივის კუნთების სპაზმი, ლიბიდოს დაქვეითება, პოტენციის დაქვეითება, აბსტინენციის სინდრომი (სტენოკარდიის შეტევების გაძლიერება, არტერიული წნევის მომატება).

### ჟარბი დოზა

**სიმპტომები:** პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია, გამოხატული ბრადიკარდია, AV ბლოკადა, არტერიული წნევის გამოხატული დაქვეითება, გულის ქრონიკული უკმარისობა, ფრჩხილების ან ხელის გულების ციანოზი, სუნთქვის გაძნელება, ბრონქოსპაზმი, თავბრუსხევევა, გულის წასვლა, კრუნხევები.

**მკურნალობა:** კუჭის ამორეცხვა და ადსორბირებადი საშუალებების დანიშვნა; სიმპტომური მკურნალობა: AV ბლოკადის განვითარებისას- ვენაში 1-2მგ ატროპინი, ეპინეფრინი ან დროებითი კარდიოსტიმულატორის დაყენება; პარკუჭოვანი ექსტრასისტოლიის დროს- ლიდოკაინი (IA კლასის პრეპარატები არ გამოიყენება); არტერიული წნევის დაწევისას- პაციენტი უნდა იმყოფებოდეს ტრენდელენბურგის პოზიციაში; თუ ფილტვების შეშუპების სიმპტომები არ აღინიშნება- ინტრავენურად პლაზმის შემცველი ხსნარები, არაეფექტურობის შემთხვევაში ეპინეფრინის, დოპამინის, დობუტამინის შეყვანა (ქრონიტროპული და ინოტროპული მოქმედების შესანარჩუნებლად და არტერიული წნევის გამოხატული დაქვეითების პრევენციისათვის); გულის უკმარისობის დროს- საგულე გლიკოზიდები, დიურეტიკები, გლუკაგონი; კრუნხევების შემთხვევაში- დიაზეპამი ვენაში; ბრონქოსპაზმის დროს- საინჰალაციო ბეტა2-ადრენოსტიმულატორები.

### ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან

ალერგენები, რომლებიც გამოიყენება იმუნოერაპიისათვის ან ალერგენის ექსტრაქტები კანის სინჯისათვის ზრდიან მწვავე სისტემური ალერგიული და ანაფილაქსიური რეაქციების რისკს ისეთ პაციენტებში, რომლებიც დებულობენ ბისოპროპოლს.

იოდის შემცველი ინტრავენური რენტგენოკონტრასტული საშუალებები ზრდიან ანაფილაქსიური რეაქციების განვითარების რისკს.

ფენიტოინი ვენაში შეყვანისას, სხვა საინჰალაციო საშუალებები (ნახშირწყალბადების წარმოებულები), რომლებიც გამოიყენება ზოგადი ანესთეზიისათვის ზრდიან კარდიოდეპრესიული მოქმედების გამოხატულებას და არტერიული წნევის დაწევის ალბათობას.

ცვლის ინსულინის და პერორალური ჰიპერგლიკემიური საშუალებების ეფექტს, ახდენს ჰიპოგლიკემიის სიმპტომების შენიდბვას (ტაქიკარდია, არტერიული წნევის მომატება). ამცირებს ლიდოკაინის და ქსანტინების კლირენსს (დიფილინის გარდა) და ზრდის მათ კონცენტრაციას პლაზმაში, განსაკუთრები კი იმ ჰაციენტებში, რომელთაც თავიდანვე აღენიშნებათ თეოფილინის მომატებული კლირენსი, რაც განპირობებულია მოწევით.

ჰიპოტენზიურ ეფექტს ამცირებენ ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები (Na<sup>+</sup> იონების შეკავება და პროსტაგლანდინების თირკმლისმიერი სინთეზის ბლოკადა), გლუკოკორტიკოსტეროიდები და ესტროგენები (Na<sup>+</sup> იონების შეკავება).

საგულე გლიკოზიდები, მეთილდოპა, რეზერპინი და გუანფაცინი, კალციუმის “ნელი” არხების ბლოკატორები (ვარაპამილი, დილთიაზემი), ამიოდარონი და სხვა ანტიარითმიული საშუალებები ზრდიან ბრადიკარდიის განვითარების ან გაძლიერების, AV-ბლოკადის, გულის გაჩერების და გულის უკმარისობის რიგს.

ნიფედიპინმა შესაძლოა გამოიწვიოს არტერიული წნევის მნიშვნელოვნად დაქვეითება. დიურეტიკებმა, კლონიდინმა, სიმპათოლიტიკურმა საშუალებებმა, ჰიდრალაზინმა და სხვა ჰიპოტენზიურმა საშუალებებმა შესაძლოა გამოიწვიონ არტერიული წნევის ზედმეტად დაჭვეითება.

ახანგრძლივებს არამადეპოლარიზებელი მიორელაქსანტების და კუმარინების ანტიკოაგულანტურ ეფექტს.

ტრი- და ტეტრაციკლური ანტიდეპრესანტები, ანტიფსიქოზური საშუალებები (ნეიროლეპტიკები), ეთანოლი, სედატიური და საძილე საშუალებები აძლიერებენ ცნის დათრგუნვას.

არ არის რეკომენდირებული მათ ინჰიბიტორებთან ერთად გამოყენება, რადგან შესაძლებელია ჰიპოტენზიური ეფექტი მნიშვნელოვნად გაიზარდოს. მათ

ინპიბიტორების და ბისოპროპოლის მიღებას შორის დაცული უნდა იყოს არანაკლებ 14 დღიანი ინტერვალი.

ჭვავის რქის არაპიდრიტებული ალკალოიდები ზრდიან პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევის რისკს.

ერგოტამინი ზრდის პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევის რისკს; სულფასალაზინი ზრდის ბისოპროპოლის კონცენტრაციას პლაზმაში; რიფამპიცინი ამცირებს ნახევარგამოყოფის პერიოდს.

### განსაკუთრებული მითითებები

პაციენტების კონტროლი, რომლებიც დებულობენ ბისოპროპოლს უნდა მოიცავდეს გულის შეგუმშვათა სიხშირის და არტერიული წნევის გაზომვას (მკურნალობის დასაწყისში ყოველდღიურად, შემდეგ 3-4 თვეში ერთჯერ), ეკგ-ს ჩატარებას, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებში სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრას (4-5 თვეში ერთჯერ). ხანდაზმულ პაციენტებში რეკომენდირებულია თირკმლის ფუნქციის კონტროლი (4-5 თვეში ერთჯერ).

პაციენტს უნდა მისცეთ მითითება, რომ თუ გულის შეკუმშვის სიხშირე წუთში ნაკლებია 50 დარტყმაზე აუცილებელია ექიმის კონსულტაცია.

მკურნალობის დაწყებამდე რეკომენდირებულია ამოსუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა ისეთ პაციენტებში, რომელთაც ანამნეზში აღენიშნებათ ბრონქული ასთმა.

სტენოკარდიის მქონე პაციენტების დაახლოებით 20%-ში ბეტა-ადრენობლოკატორები არაეფექტურია. ძირითადი მიზეზები- მწვავე კორონარული ათეროსკლეროზი იშემის დაბალი ზღვრით (გულის შეგუმშვათა სიხშირე  $<100$  დარტყმა/წთ-ში) და მარცხენა პარკუჭის მომატებული საბოლოო დიასტოლური მოცულობა, რომელიც არღვევს სუბენდოკარდიულ მიმოქცევას.

მწვეველებში ბეტა-ბლოკატორები ნაკლებად ეფექტურია.

პაციენტებმა, რომლებიც იყენებენ კონტაქტურ ლინზებს უნდა გაითვალისწინონ, რომ მკურნალობის დროს შესაძლებელია ცრემლის გამოყოფის შემცირება.

ფეოქრომოციტომის მქონე პირებში პრეპარატის გამოყენებისას არსებობს პარადოქსული არტერიული ჰიპერტენზიის განვითარების რისკი (თუ წინასწარ არ არის მიღწეული ეფექტური ალფა-ადრენობლოკადა).

თირეოტოქსიკოზის დროს ბისოპროლოლმა შესაძლოა შენიდბოს თირეოტოქსიკოზის გარკვეული კლინიკური სიმპტომები (მაგ: ტაქიკარდია). თირეოტოქსიკოზის მქონე პაციენტებში პრეპარატის უეცარი მოხსნა უკუნაჩვენებია, რადგან მოსალოდნელია სიმპტომატიკის გაძლიერება.

შაქრიანი დიაბეტის დროს შესაძლოა შენიდბოს ჰიპერგლიკემიით გამოწვეული ტაქიკარდია. არასელექციური ბეტა-ადრენობლოკატორებისაგან განსხვავებით პრაქტიკულად არ აძლიერებს ინსულინით განპირობებულ ჰიპოგლიკემიას და არ აფერხებს სისხლში გლუკოზის ნორმალური დონის აღდგენას.

კლონიდინთან ერთად გამოყენებისას მისი შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ ბისოპროლოლის მოხსნიდან რამდენიმე დღეში.

მწვავე ალერგიული ანამნეზის ფონზე ეპინეფრინის ჩვეულებრივი დოზების გამოყენებისას შესაძლებელია მომატებული მგრძნობელობის რეაქციების გამოხატულების გაძლიერება და არაეფექტურობა.

გეგმიური ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში პრეპარატი უნდა მოიხსნას ზოგად ანესთეზიამდე 48სთ-ით ადრე. თუ პაციენტმა მიიღო პრეპარატი ოპრაციის წინ ზოგადი ანესთეზიისათვის უნდა შეირჩეს ისეთი პრეპარატი, რომელსაც გააჩნია მინიმალური უარყოფითი ინოტროპული მოქმედება.

ცდომილი ნერვის რეციპროკული აქტივაციის აღმოფხვრა შეიძლება ატროპინის ინგრავენური შეყვანით (1-2გ).

კატექოლამინების მარაგის შემამცირებელ საშუალებებს (მათ შორის რეზერპინს) შეუძლიათ გააძლიერონ ბეტა-ადრენაბლოკატორების მოქმედება, შესაბამისად პაციენტები, რომლებიც დებულობენ აღნიშნულ კომბინაციას უნდა იმყოფებოდნენ ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ არტერიული წნევის და ბრადიკარდიის გაკონტროლების მიზნით.

ბრონქოსპასტიკური დაავადებების მქონე პაციენტებში შესაძლოა დაინიშნოს კარდიოსელექციური ადრენობლოკატორები სხვა ჰიპოტენზიური საშუალებების აუტანდობის და/ან არაეფექტურობის შემთხვევაში. ჭარბმა დოზამ შესაძლოა გამოიწვიოს ბრონქოსპაზმის განვითარება.

ხანდაზმულ პაციენტებში მზარდი ბრადიკარდიის ( $<50$  დარტყმა/წთ), არტერიული წნევის მნიშვნელოვანი დაქვეითების (სისტოლური ა.წ.  $<100$ მმ ვწყ.სვ), AV ბლოკადის

განვითარების შემთხვევაში აუცილებელი დოზის შემცირება ან მკურნალობის შეწყვეტა.

დეპრესიის განვითარების შემთხვევაში რეკომენდირებულია მკურნალობის შეწყვეტა. დაუშვებელი მკურნალობის უმცრად შეწყვეტა, რადგან შესაძლოა განვითარდეს მწვავე არითმია და მიოკარდიუმის ინფარქტი. პრეპარატის მოხსნა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, 2 ან მეტი კვირის განმავლობაში დოზის შემცირებით (დოზა მცირდება 3-4 დღეში 25%-ით). სისხლში და შარდში კატექოლამინების, ნორმეტანეფრინის, ვანილ-ნუშის მჟავის და ანტინუკლეური ანტისეულების განსაზღვრის წინ პრეპარატის მიღება უნდა შეწყდეს.

მკურნალობის პერიოდში საჭიროა სიფრთხილე ტრანსპოტის მართვის და სხვა მექანიზმების გამოყენებისას, რაც საჭიროებს ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას და სწრაფ ფსიქო-მოტორულ რეაქციებს.

### გამოშვების ფორმა

აპკით დაფარული ტაბლეტები 10მგ. 10 ტაბლეტი პოლივინილქლორიდის ან ალუმინის ფოლგის ბლისტერში; მუყაოს კოლოფში მოთავსებულია 3 ან 5 ბლისტერი გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად.

### შენახვის პირობები

სია ბ.

ინახება არაუმეტეს  $25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

### გარგისიანობის გადა

3 წელი.

არ გამოიყენება ვადის გასვლის შემდეგ.

გაცემის წესი: ფარმაცევტული პროდექტის ჯგუფი II, გაიცემა ფორმა №3 რეცეპტით.

### სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი:

ვორვაგ ფარმა გმბჰ&ქო.კბ.

ქალვერის ქ.7, 71034 ბობლინგენი, გერმანია.

მწარმოებელი (ატარებს ხარისხის კონტროლს):

მაუერმან არცნაიმიტელ კბ:

პაინრიხ-კნოტის ქ.2, 82343, პიოკინგი, გერმანია.

ს.კ. მაგისტრა კ&კ ს.რ.ლ.

მისამართი: აურელა ვლაიგუს გამზ.№82ა, 900055, კონსტანტინე, კონსტანტის თლქი, რუმინეთი.

ვორვაგ ფარმა გმბჰ&ქო.კბ,

ქალვერის ქ.7, 71034 ბობლინგენი, გერმანია.

ა6

**მზა წამლის ფორმების მწარმოებელი:**

მაუერმან არცნაიმიტელ კბ:

პაინრიხ-კნოტის ქ.2, 82343, პიოკინგი, გერმანია.

ს.კ. მაგისტრა კ&კ ს.რ.ლ.

აურელა ვლაიგუს გამზ.№82ა, 900055, კონსტანტინე, კონსტანტის თლქი, რუმინეთი.

**შემფუთავი:**

სს “ფარმპროექტი”.

192236, ქ. სანქტ-პეტერბურგი,

სოფიას ქ. ს.14, ლიტ.ა, რუსეთი.

**პრეტენზიების მიმღები წარმომადგენლობა/ორგანიზაცია:**

ვორვაგ ფარმა გმბჰ&ქო.კბ-ს (გერმანია) წარმომადგენლობა ქ. მოსკოვში

117587, ქ.მოსკოვი, ვარშავის გზაკეცილი, 125ქ, კ.6,

ტელ: (495) 382-85-56